№ 264

სამშაბათი, 5 დეკემბერი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 264

სამშაბათი, 5 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, რინელის და ბ-ნ გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

### ეფ. მესხის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა:

I

### შენდობა (ანუ დენიზა)

დრამა 4 მოქმედ. ა. დიუმასი, თარგ. კ. მესხის მიერ.

II

### ადვოკატთან

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნებიერიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. ჩპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არზანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

## წინარეხის

სკოლის მასწავლებლის ადგილი. მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 350 მანეთი. (4—უ.—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკოვიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა, სინოდის ობერ-პროკურორის ყოვლად უქვეშევრდომილესის მოხსენებისამებრ უწმიდესის სინოდის გადაწყვეტილების თანახმად, ყოვლად უმოწყალესად ინება 11 მარტს ამა წლისას დაჯილდოება ვერცხლის მენდლით, ზედ წარწერით „ერთგულებისათვის“, გულზედ დასაკიდად ალექსანდრე ნეველის ორდენის ლენტით, იმერეთის ეპარქიის, თერჯოლას წმ. გიორგის ეკკლესიის მედავითნეს იოსებ ბარბაქაძისა სახალხო განათლების სასარგებლოდ გაწეულ შრომისათვის.

## ახალი ამბავი

*** ამერიკის შეერთებულ შტატებში შემდგარა ანტროპოლოგთა, ბუნების-მეტყველთა და ნატურალისტთა ახალი საზოგადოება. საზოგადოებას აზრადა აქვს ციმბირისა და კავკასიის შესწავლა. ამ საზოგადოების რამდენიმე წევრი უკვე წამოსულა ნიუ-იორკიდგან. საზოგადოებამ ხელის მოწერით ერთ მილიონ მანეთამდე შეჰკრიბა.

## ფელეტონი

„ნოქტიურნა“ ფილდასი. ოპ. № 13.

(ანთროპოვისა)

(თავის-მკვლელის დღიური)

20 იანვარი.

მე ბედნიერი ვარ, ბედნიერი, რომელსაც დედამიწის ზურგზედ ვერვინ ვერ შეედრება... მაგრამ ჩემს ბედნიერებას ის როდი შეადგენს, რომ ჯანმრთელი ვარ, არც ის, რომ შეძლებული დედ-მამა მყავს, არც ის, რომ მალე ჩემს აღმზრდელს alma mater-ს ვასრულებ, არა. ბედნიერი ვარ მით, რომ მიყვარს, ბედნიერი ვარ მით, რომ **ვუყვარვარ**... ვინ იცის, ბევრს სიცილადაც არ ეყოს ეს!.. მეტადრე ამ ჩვენს დროში, როდესაც ეგრედ-წოდებულნი quasi-ფსიხოლოგოსნი ბუნებრივს მოვლენას, სიყვარულს, ათასნაირად ასახაცილოებენ, როდესაც ამ გრძნობისა ბევრს კიდევაც ერცხვინება... ჩემმა ამხანაგებმა სტუდენტებმაც, „ამ ახალგაზრდა მოხუცებულებმა“ მასხარად ამიგდეს...

ერთმა მეგობრულად მირჩია „კრეიცერის სონატა“ გადაიკითხეო... მე მართლაც გადავიკითხე და საღამოთი ნინოსთან ვიყავი... მთელს საღამოს ხარბად და გაუმაძღრად თვალებში ჩავყურებდი, მაგრამ ოჰ, ბედნიერებავ!.. მივხვდი, დავრწმუნდი, რომ მისი ხუჭუჭი თმა უაზროდა და უბრალოდ არ არის თეთრს შუბლზედ ისე ლამაზად გადმოშლილი, მივხვდი, რომ ახალგაზრდობა და სილამაზე ამშვენებს ისე მისს ნაზსა და მონარნარე ტანსა და არა მკერვალი-ქალის ხელოვნება... ეგრედ წოდებულმა ტოლსტოისებურმა საზიზღარმა და უკმეხმა ანალიზმა სიყვარულისამ ერთს წამსაც ვერა მძლია და ეჭვი ვერ ამაღებინა, რომ ამით ჩემი პირველი და წმინდა სიყვარული შეურაცხ-მეყო...

მეც ხომ პოზდნიშევისავით თითქმის 15 წლისამ შევაგინე ჩემი ბუნება იმ ფიზიოლოგიურის სიყვარულით, რომლის არსებობაც მხოლოდ სწამს მასა. მაშ რით აიხსნება ის, რომ აგერ წინოსთანა ვზივარ, პირდაპირ თვალებში შევყურებ, მაგრამ არაფერს ხორციელად შემაგინებელს არა ვგრძნობ, ჩვეულებრივად „თრთოლა და ცახცახი“ არ მომდის, როდესაც იგი თავისის პაწია ხელით მეხება?

დილით ჩემს მეგობარს შემდეგი ვუთხარი: რჩევისათვის გმადლობ, „სონატა“ მართლა გადავიკითხე, მაგრამ უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ ჩემი საცოლე მიყვარს-მეთქი.

ამხანაგმა საშინლად გადაიხარხარა და მომახალა:

— ეტყობა მაშ, ძმაო, ტოლსტოისშვილის „შოპენის პრელიუდია“, ეს მე-XIX საუკუნის განსაცვიფრებელი უტოპია, ძლიერ გაგიზეპირებია?

ამაზედ მეგობრისათვის აღარა მიპასუხნია რა და, როცა წამოველ, ვუთხარი:

— იცი რა არის, ცოლს რომ შევირთავ, მეც უთუოდ უნდა დავწერო რამე ამ ნაირის მუსიკალურის სათაურით: „ნოქტიურნა ფილდასი, ოპ. № 13“.

მეგობარმა სიბრალულით გადმომხედა, თითქოს ჭკუიდგან შეშლილიყო.

—

24 იანვარი.

ვწერ, მაგრამ ასე მგონია, სიზმარში ვარ-მეთქი, თავბრუ მესხმის, ვიტანჯები. არ მინდა დავიჯერო, რომ ყოველივე, რაც მოხდა,—მართალია...

ნინოს მამა დიდი ვაჭარი და საქმის პატრონია, ერთი იმ სპეკულიანტ ვაჭბატონთაგანი, რომელთაც ვაჭრების მეტი სახელი: „იტლინკეთ, თავად-აზნაურნო, ასეა ჩვენი ქეიფი რაღა, რადგანაც წავიდა თქვენი ბატონობის დროს, ახლა ჩვენ ვართ ბატონები, ოქრო და შრომა გამეფდაო“... არ მოსწონთ. რამდენისამე გაბედულისა და მოხერხებულის წათამაშებით სხვა-და-სხვა მომგებიან საქმეში უცბად აუარებელი ქონება შეიძინა, მაგრამ აგერ ორი კვირაა პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ იზარალა, გაკოტრდაო.

ეს-კია ჩემი ოცნება, ჩემი ფას-დაუდებელი ძვირფასი სატრფო ჩვენსა მოვიდა. ყველანი სასტუმრო ოთახში ვისხედით: მამა, დედა და მე.

მთლად გადაფითრებული და აღელვებული ნინო მომვარდა და მითხრა:

— ჩემო მეგობარო... მოვედი მისთვის, რომ მოცემული სიტყვა უკან დავიბრუნო, თქვენი ცოლობა არ შემიძლიან.

სისხლი თავში ამივარდა. მამა და დედა კიდევ თოფ-ნაკრავივით მისცვივდნენ ნინოს და ეკითხებოდნენ, თუ რა მოხდა, რას ნიშნავს ეს... ნინო-კი ბავშვივით სტიროდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ნუ მკითხავთ... გარდაწყვეტილია... არ შემიძლიან...

არ მახსოვს, მე რაღას ვეუბნებოდი... ვგონებ, ვუჩიოდი, ვევხრავდი, ვუსაყვედურებდი და მწარედ დავცინოდი, უთუოდ იმას მოერიდე, რომ საკმაოდ მდიდარი არ ვიყავი მეთქი...

საშინლად ვბრაზობდი, თითქმის ვგიჟდებოდი, ვსტიროდი, ხელებს ვუკოცნიდი და იმავე დროს შეურაცხვყოფდი...

დაბოლოოს გამოტყდა... როგორც აღმოჩნდა, მამა გაჰკოტრებოდა, მაგრამ ეს არაფერი: გაკოტრებასთან ერთად მოელოდა აგრეთვე დამნაშავეთა სამარცხვინო სკამზედ ჯდომა,—ერთს რომელსაღაც ანგარიშში სიყალბე ჩაედინა.

რამდენისამე თვის წინად ნინო და მამა მისი წყლებზედ გრაფს სტროცკის გასცნობოდნენ. ნინო თურმე სტროცკის მაშინვე შეჰყვარებოდა, მაგრამ საზღვარ-გარედ წასულიყო და ვეღარსად შეჰხვედროდა. ახლა დაბრუნებულიყო და ნინო ეთხოვნა მამისათვის, რის სამაგიეროდაც 2½ მილიონს თურმე ჰპირდებოდა. მამა რომ როგორმე ამ სირცხვილისაგან ეხსნა, ნინო დასთანხმებოდა, სიტყვა მიეცა.

როგორც-კი ნინომ გრაფის სტროცკის გვარი ახსენა, დედა მაშინვე ტილოსავით გაფითრდა, გული შეუღონდა...

მამას ელდა-ნაკრავივით ენა ჩაუვარდა. გრაფი სტროცკი ჩვენის სახლის ძველი მეგობარი და მამიჩემის ამხანაგი თურმე იყო უნივერსიტეტში.

ნინო წავიდა... ამ სტრიქონებს ჩემს ოთახში ვსწერ. ოჰ, ღმერთო, ნუ-თუ მართლა ჩემი წმინდა სიყვარული, ჩემი ძვირფასი ოცნება დავკარგე?..

—

29 იანვარი.

გათავდა, ყოველივე გარდაწყდა... ჩემის გრძნობით სავსე წერილის პა-

*** სატეხნიკო სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად კავკასიის მცხოვრებთა შორის საერო განათლების სამინისტრო განსაკუთრებულ თანხასა თხოულობს 1901 წლისათვის. ამ თანხიდგან შემწეობა მიეცემათ კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში არსებულ საპროფესიონალო პირველ-დაწყებით სკოლებს.

*** როგორც გვატყობინებენ, სოფლ. მუხრანსა და მჭადის ჯვარში საქონლის ჭირი გაჩენილა. ჭირთან საბრძოლველად იქ ვეითალი ბ-ნი დედაბრიშვილი გაუგზავნიათ. 4 დეკემბრამდე ჭირისაგან სოფ. მუხრანში 23 სული საქონელი მომკვდარა, ხოლო მოუკლავთ—11 სული, მჭადის-ჯვარში მომკვდარა 24, მოუკლავთ—11 სული.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას გადაუწყვეტია, ჩვეულებრივი კონცერტი ამ საზოგადოების სასარგებლოდ დეკემბრის ნაცვლად მომავალის წლის იანვარში გამართოს.

*** ამ წლის 11 დეკემბერს, ბაქოში ნავთის-მწარმოებელთა საგანგებო კრება მოხდება.

*** კვირას, 3 დეკემბერს, დაასაფლავეს ტფილისის 1-ლ გიმნაზიის მასწავლებელი ოქროპირ ხევცურიანი. დილის 9 საათზედ განსვენებულის კუბო ბინიდგან ხელით გამოასვენეს ნათესავების, მეგობრებისა და მრავალ ხალხის თანადასწრებით. წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნა ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის ეკკლესიაში, სადაც დეკანოზმა მამა ხელიძემ სიტყვა წარმოსთქვა. გიმნაზიის ეკკლესიიდგან მიცვალებული გიმნაზიელებმა ხელითვე გამოასვენეს და მამა დავითის ეკკლესიის გალავანში მიწას მიაბარეს. განსვენებულის კუბო შემკული იყო მრავალი გვირგვინით: მეგობრებისაგან, გიმნაზიის ყველა კლასებისაგან და თანამოსამსახურეთაგან. მუსიკას უკრავდა გიმნაზიელთა ორკესტრი. განსვენებულის საფლავზედ სიტყვა წარმოსთქვეს: გიმნაზიის ორმა მასწავლებელმა ბ-ნმა ხუციშვილმა და ორლოვმა და მე-VIII კლასის მოსწავლემ პავშინმა.

*** 26 ნოემბერს პეტერბურგში, თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში, ჩვეულებრივი ქართული საღამო გაუმართავთ. სალიტერატურო-სამუსიკო ნაწილს კარგად ჩაუვლია. ბ-ნ ბალანჩივაძის გამგეობით შემდგარ ხოროსაც კარგად შეუსრულებია ქართული სიმღერები. კონცერტის შემდეგ გაუმართავთ ევროპიული ცეკვა და ლეკური.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია პარასკევს, 8 დეკემბრისათვის.

*** წმ. ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის კნ. მ. თ. გოლიცინის განკარგულებით ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დროებით სწავლა შეუწყვეტიათ, რადგანაც ამ სასწავლებლის მოსწავლეთა შორის ყელჭირვება გაჩენილა.

*** ჩვენ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის მთავარ ბუჰგალტერიაში და 28 სადგურზედ დაარსებული იქნება სახელმწიფო შემნახველი კასები. ახლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, 1 დეკემბერს უკვე გაუხსნიათ სახელმწიფო შემნახველი კასები რკინის გზის გამგეობის მთავარს ბუჰგალტერიაში და შემდეგს 28 სადგურზედ: ბათუმსა, ქობულეთსა, საჯევახოსა, სუფსასა, სამტრედიასა, ფოთსა, ხრესილსა (სერნია ვოდი), ტყიბულსა, შორაპანსა, ჭიათურასა, ძირულასა, ბელოგორსა, ხაშურსა, ქარელსა, გორსა, გრაკალსა, კასპსა, მცხეთასა, ტფილისსა, ლიაქსა, ბაქოსა, საბუნჩასა, ჯანდარსა, სადახლოსა, ახთალასა, სანაინსა, „სტავკა-კარაიალსა“ და ბაშ-კადიკლიარში“.

*** პარასკევს, 1 დეკემბერს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველის ბ-ნ შენგერის თავმჯდომარეობით ტფილისის საშუალო სასწავლებელთა დირექტორებს კრება ჰქონდათ ამ სასწავლებელთა მოსწავლეებზედ თვალ-ყურის დევნების შესახებ მოსალაპარაკებლად.

*** სამხედრო უწყებას 150 ოთხკუთხი საჟ. მიწა დაუთმია ტფილისის მე-10 ნაწილში ახლად დაარსებულ მე-8 სამრევლო-საეკკლესიო სკოლის საჭიროებათათვის.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის პროექტით, მომავალ 1901 წელს გამგეობაში შემდეგი ახალი თანამდებობები იქმნება დაარსებული: გამგეობის საქმის მწარმოებელისა, ჯამაგირი 1500 მან. ექნება წელიწადში, რეგისტრატორის—480 მან., ეკზეკუტორისა—600 მან., 1-ლ განყოფილების საქმის მწარმოებელისა—900 მან., ორის მწერლისა—თითოს ექვსას-ექვსასი მან., ხუთის საქმის მწარმოებელთა თანაშემწისა—თითოს ექვსას-ექვსასი მან., ორის ანგარიშის მწარმოებელისა,—ერთს 600 მ., მეორეს 360 მან., მთავარ ბუჰგალტერის უფროს თანაშემწისა,—1,200 მან., უმცროს თანაშემწის—480 მან.

*** ტფილისის საარტისტო საზოგადოების ახალი შენობა იანვრისათვის მზად იქნება, ხოლო თეატრი და საკონცერტო დარბაზი თებერვალში გაიხსნება თურმე.

*** ტფილისის გუბერნიის უფროსმა მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის 1901 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა ამ დღეებშივე წარუდგინონ.

*** 3 დეკემბრისათვის დანიშნული დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ხელ-ახალი კრება კვირას, 10 დეკემბრისთვის დანიშნეს.

*** როგორც გაზეთი „კვალი“ გადმოგვცემს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, ინჟენერს ბ-ნს ველდენევს სამსახურისათვის თავი დაუნებებია. იმის ადგილას ინჟენერ ივანიცკისა ჰნიშნავენ თურმე.

*** ამ ჟამად იბეჭდება ახალი, მეთერთმეტე გამოცემა „ბუნების კარისა“. როგორც შევიტყეთ, წიგნი ბევრად არის შევსებული. ზოოლოგიურს ნაწილში ჩამატებულია ცნობები იმის შესახებ, რა სარგებლობა მოაქვთ სხვა-და-სხვა ფრინველებსა ჭირნახულისათვის; გეოგრაფიულ განყოფილებაში მოქცეულია ახალი ცნობები და უმთავრესად აღწერილია წარსული და აწინდელი მდგომარეობა საქართველოს შესანიშნავ მონასტრებისა და ტაძრებისა. ამავე განყოფილებაში ერთი ორად გადიდებულია წერილი რუსეთის შესახებ და პირველად არის ჩართული ვრცელი აღწერა მაცხოვრის სამშობლოს პალესტინისა. ისტორიულს განყოფილებაში ვრცლად არის მოთხრობილი მოღვაწეობა ათ-თორმეტთა სირიელთა მამათა და ათონის წმიდათა მამათა მოქმედება ქართულის სასულიერო მწერლობის ასე დორძინებისად. ამ წერილებს ჩართული აქვს ჩვენი წმიდანების სურათებიც. ქრისტომატიული განყოფილება შევსებულია ახალი სალიტერატურო ნიმუშებით.

*** ქალაქის გამგეობას დაუდგენია სთხოვოს კავკასიის სამხედრო ოლქის ინჟენერთა უფროსს მიიღოს ზომები ალექსანდრეს ბაღში ქაშვეთის ეკკლესიის გალავნის ალაყაფის კარების დახურვის შესახებ. გამგეობას ალექსანდრეს ბაღის შესავალში მხოლოდ ნიშის აშენების ნება დაურთავს.

*** ტფილისის სათვალთო სკოლის შესახსად და ამ სკოლის შენობის შესაკეთებლად კავკასიის სამკურნალო გამგეობას მომავალ წლისთვის 10,617 მან. 81 კაპ. უთხოვნია.

*** სადგურ შორაპნიდგან გვატყობინებენ, რომ 3 დეკემბერს ჭიათურის შტოზედ, სადგ. რკვიასა და სალითის შუა, 29 ვერსზედ ჩამოწვა კლდიდგან ზვავით. ამ სადგურებს შორის მატარებლების მიმოსვლა დროებით შეჩერებულ იქმნა. შემოსავლელ გზის კეთებას მაშინვე შეუდგნენ და გუშინდლისთვის მზად უნდა ყოფილიყო.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატაში 2 დეკემბრისათვის დანიშნული საქმე სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის ივ. კაზიმიროვის და მისის თანაშემწის პეტრე რომანოვის, ზოგიერთ მოწმეების დაუსწრებლობისა გამო გადადებულ იქმნა 1901 წლის 27 იანვრისათვის.

*** სოფ. სვირი, (ქუთაისის მაზრა). 28 ნოემბერს აქ სოფლის მოხელეების არჩევნები მოხდა, რომელსაც ხალხი დიდი ხანია მოუთმენლად მოელოდა. ბევრი ემზადებოდა სამამასახლისოთ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ: ხალხმა მხოლოდ ორი ძლიერი კანდიდატი დაასახელა; ამათგანი ერთი ს. ხუხევის სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ბ. ჭუღელი იყო, რომელიც ამოირჩიეს კიდეც. სხვა მოხელეების არჩევნებმა მდორედ ჩაიარა. საყურადღებოა, რომ სახალხო ყრილობამ არც ერთი ძველი მოხელეთაგანი არ ამოირჩია ხელმეორედ.

ამ ყრილობაზედვე აქაურის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-მა გეგეშიძემ გამოუცხადა ხალხს სურვილი, რომ მისდამი რწმუნებულ სასწავლებელთან დიდებისათვის უფასო საკვირაო სკოლა იქმნას გახსნილი. გეგეშიძემ მოკლედ განუმარტა ხალხს, თუ სამშობლო ენაზედ წერა-კითხვის უცოდინარობას რამდენი ზარალი მოაქვს და რამდენად სასარგებლო იქნება მათთვის ამ გვარი დაწესებულება, თუ რომ ამას გულით შეუდგებიან. ხალხს ზედამხედველის განცხადება სასიამოვნოდ დარჩა და რამდენმამე კაცმა სურვილი სკოლაში ჩაწერვისა მაშინვე განაცხადა.

---

სუხად გუშინ შემდეგი ბარათი მომივიდა: „თუ რომ ოდესმე გიყვარდით და ცოტათი მაინც არის გიყვარვართ კიდევ, მაპატიეთ. სხვა გზა არა მაქვს. იყავით დიდ-სულოვანი: ჩემს შეხვედრას ერიდეთ, ნუღარას მომწერთ. გაიგეთ, რომ მეც ადამიანი ვარ; ხოლო თუ გაიგებთ, კიდეც მაპატიებთ. ბედი ყოველივესა სძლევს. მშვიდობით, მაპატიეთ“!...

ამ რამდენისამე დღის განმავლობაში თავს საშინლად ვებრძოდი, მაგრამ ბრძოლა ვერას გახდა.

დღისით, თუ ღამით მისი სახე მუდამ თვალ-წინ მიდგას. კარგადა ვხედავ მისს ზღვასავით ღრმას, გრძნობით სავსე თვალებს, მესმის ვერცხლებრ წკრიალა მისი ტკბილი ხმა, მისს დამბნედველს სუნნელოვნებასა ვგრძნობ.

ოჰ, რა საზარელი რამ არის ეს ღამეები!.. რა დაუსრულებელი, რა მტანჯველი!.. თითქმის ვეწამები!.. სულ რამდენისამე დღის წინად ბედნიერი ვიყავი, ცის ქვეშეთს ლოცვით, კურთხევით ვიხსენიებდი და უცბად... ყოველივე დავკარგე. ირგვლივ ბნელა. მოვიდნენ და ბედნიერება წარმტაცეს... სიცოცხლე დამიცარეს, გამიმწარეს...

არა, არა, ვფიცავ არ დავთანხმდები... დღესვე წავალ და ვეტყვი, რომ თავისი და ჩემი დაღუპა, თუ ნდაც მამია გულისათვის, მას არ შეუძლიან. დედ-მამის ცოდვანი შვილების სიცოცხლითა და ბედნიერებით არ გამოისყიდებიან...

ჩვენი სახლი თითქოს მგლოვიარეა. საწყალი დედა! როგორ ვუყვარვარ: ამ ამბავმა სულით თუ ხორცით მთლად გამოსცვალა. თითქოს უცბად დაბერდა, დაუძლურდა, მოეშვა, მუდამა სტირის...

—

1 თებერვალი.

მღვიძავს და ისევ საშინელი თავბრუ მესხმის. გუშინ იქ ვიყავი... მასთან.

როდესაც მდიდრულად მორთულს დარბაზში შევედი, ხალხი უკვე ბლომად შეკრებილიყო.

ამ მდიდარს ჯენტლემენ-მოვახშეს, რომელიც ახლა თავისს ერთად-ერთს ასულს გარყვნილს მოხუცს უპირებდა გულცივად მისყიდვას, წვეულება გაემართა, რომ დაკარგული ნდობა როგორმე ისევ აღედგინა და გაემჟღავნებინა, რომ ნინოს გრაფი ირთავდა... პეტერბურგის ფულიანი და საქმიანი ხალხი, რაღაც საეჭვო გარეგნობისა, რომლებიც უფროსომხებსა და ბირჟის გაიძვერა წევრებს წააგავდნენ, in corpore იქ იყვნენ...

მიველ თუ არა, დარბაზში ჩურჩული და ჩოჩქოლი ჩავარდა... თითქმის ყველამ რაღაც ფლიდურის ცნობის-მოყვარეობით დამაშტერა თვალები... პატივცემულმა ჯენტლემენმა მასპინძელმა შეშინებულმა იორღით მოირბინა ჩემთან და მომიკითხა. ვგონებ, მე ხელი არ გამიწვდია... ჩემი თვალები მხოლოდ ნინოს დაეძებდა... იგი დარბაზის ბოლოში, დაბურულ მცენარეებს ქვეშ იდგა თეთრის ტანისამოსით და მის გვერდით მაღალის ტანის, წარმოსადეგი, საკმაოდ კარგად შენახული ვაჟკაცი. მაშინვე მივხვდი, რომ ის უნდა ყოფილიყო უთუოდ. მიუახლოვდი და განგებ ხმა-მაღლა დავუძახე; ნინო შეკრთა, გაფითრთდა და დაჭრილი ჩიტივით ცახ-ცახი დაიწყო... შემდეგ თავისი მშვენიერი თვალები მაღლა ასწია, შემომხედა, მაგრამ, ოჰ, ღმერთო! რა დაფარული, იდუმალი საყვედური, რა ტანჯვა იხატებოდა მისს თვალებში! —მაგრამ შებრალების გულზედ არ ვიყავი. ეს ჩასუქებული ვაჟბატონი რომ დავინახე, რომელიც კარგ მცოდნესავით ჩემს ნინოს სინჯავდა და თანაც სდნებოდა მისს წინ, მთლად ავენთე, ცოფიანივით გავბრაზდი.

ნინომ ხმის კანკალით გამაცნო იგი. ამ ვაჟბატონმა გაიღიმა, თავისი ნაზი და ფუნჩულა ხელი გამომიწოდა და რაღაც სულელური ალერსი წაიბურტყუნა.

მე მხოლოდ თავი დავუქნიე, ხელი არ ჩამომირთმევია... გრაფს, რასაკვირველია, ეს არ იამა, კოხები შეიკრა, მხრები აიწია და გაგვშორდა...

— ხომ გემუდარებოდით, არ მოხვიდეთ-მეთქი... რისთვის მაწამებთ?. ოდნავის ხმით ძლივს ჩაილაპარაკა ნინომ...

რაც ბოღმა და ვარამი ამ ტანჯვის დღეებში გულზედ მაწვა, ყოველივე ვუთხარ, ვუთხარ აღელვებულმა, თითქმის ყვირილით... ვევედრებოდი, რომ ამ სულელურს თავისგანწირვაზედ უარი ეთქვა, ვარწმუნებდი, რომ უიმისოდ ერთს წამსაც არ შემეძლო სიცოცხლე...

ნინო სდუმდა და თავ-დახრილი ყურს მიგდებდა; მხოლოდ დამბლასავით ერთ-თავად მოკანკალე ხელი შამცნებდა, თუ რა მძიმედ იტანჯებოდა იგი...

აგერ მამაც მოვიდა და ხუმრობით გადაუკრა, რომ სტუმართ-მოყვარე დიასახლისის მოვალეობას ივიწყებდა იგი,—რომ გრაფი მარტოკა იყო.

— რატომ არ წახვალთ ნინო,— თითქმის შევყვირე.—გრაფმა ხომ მთლად იყიდა ეს სახელი... მას უფლება აქვს ყველას თქვენგანს მორჩილება მოსთხოვოს...

რამდენისამე წამის შემდეგ საერთო ლაპარაკი ჩამოვარდა, რომელშიაც გრაფი უმთავრესს მონაწილეობას იღებდა. ლაპარაკში მეც ჩავერიე და ორიოდ-სამის შეურაცხყოფის შემდეგ თითქმის გავლანძღე კიდეც გრაფი. ყველას ენა ჩაუვარდა...

სიბრაზისაგან დალმენჭილს მისს სახეს რომ ვუცქეროდი, უზომო სიტკბოებასა ვგრძნობდი...

როგორც იყო თავი შეიმაგრა და თითქმის დამშვიდებულმა მიპასუხა:

— თქვენ ერთობ ცუდად ჰკამათობთ... ჩვენს კამათს ამ დღეებში დავაბოლოვებთ. ხვალ ჩემს სეკუნდანტებს გამოვგზავნი თქვენთან.

უცნაური რაღაც მოხდა ამ წამში: მთლად გადაფითრებული ნინო გრაფთან მივიდა და ხმა-მაღლა უთხრა:

— გვაპატიეთ, გრაფო, რომ ჩვენს სახლში ასრე ულირსად შეურაცხგყვეს... მერმე მომიბრუნდა და მითხრა:

— მე...მე... თქვენგან ამას არ მოველოდი... თქვენს მაგივრად მე მრცხვენიან...

და ისე წაიბარბაცა, რომ, თუ გრაფი არ მიჰშველებოდა, უთუოდ დაეცემოდა...

დარბაზიდგან სწრაფად გამოველ...

მაშ ასე, ხმალში უნდა გავიდე... საქმე გამოირკვა: ქვეყანა ორთავეს ვერ გვიტევს...

ინ-ანი

(დასასრული იქმნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველია ახალს საკვირაო სკოლაში სწავლის მიღების მსურნე ბევრი აღმოჩნენილიყოს და შესაფერი ნაყოფიც გამოეღოს. სწავლებას ადგილობრივის სკოლის მასწავლებლები უფასოდ კისრულობენ. იმედია სვირელები ფხიზელის თვალით შეჰხედავენ ამ საქმეს და ქართულს ანდაზას: „სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსწყინდებაო“, თავიანთზედ გაამართლებენ.

** როგორც გვატყობინებენ, სად. კვალონში ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ, 4 დეკემბერს, საქონლის მატარებლის ხეებით დატვირთვის დროს ერთი მუშა ზუგდიდის მაზრის ს. კვალონის მცხოვრები დ. ანდრიაძე ვაგონებს შუა მოჰყოლია. ანდრიაძე ძალიან დაშავებულა.

** გუშინ, 4 დეკემბერს, სადგურს ყარაიაზსა და ბეიუკ-კიასიკ შუა, მე-2 კლასის ვაგონში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი სადგ. ყარაიაზედ ჩააქრეს.

## დაბად სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ხოვლე** (გორის მაზრას). ს. ხოვლე მდებარეობს ქალაქ გორიდგან 12 ვერსის მანძილზედ, სადგურ გრაკლიდგან-კი 6 ვერსია. გლეხკაცობა ამ სოფელში ითვლება 400 კ; თავად-აზნაურობა 12 კომლამდის, გლეხ-კაცები და თავად-აზნაურები ხვნა-თესვისა და მევენახეობის გარდა, ეზიდებიან ხე-ტყეს ქალაქ გორსა და სადგურ გრაკალში. მაგრამ უგზოობა ძალიან უშლის საქმეს სოფლელთ. ისე არიან უგზოობით შეწუხებულნი, რომ ავდარში დიდის გაჭირვებით გააქვთ ხე-ტყე და სანოვაგე გასასყიდად ზემოაღნიშნულ ადგილებში. ნიადაგი ხოვლეში სახვავრხედ თიხა-ნარია. ერთი ცვარი წვიმა კმარა, რომ გზები საშინლად ატალახოს და გაუვალ ადგილებად აქციოს. სოფ. ხოვლის ახლოს მდებარეობს არჯევანის მთები. ეს მთები დასახლებულია მთიულებით, ოსებით, თათრებით და სხვა მთის ხალხით. ამათ გზა ხოვლეზედ უდევთ. მთიულნი თავიანთ ნაწარმოებს აქ, ახლო-მახლო სოფლებსა, დაბა ახალქალაქსა და ქალაქ გორს ასაღებენ. 500 კომლამდე ეს მთიულები იქმნებიან. კარგი გზა ამათთვისაც საჭიროა. ამას წინად ხოვლელმა თავად-აზნაურებმა და გლეხკაცობამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს შარა-გზის გაყვანის საქმეში ხოვლედგან სადგურ გრაკალამდის. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება.

მთაში ძალზედ გაზმორებულია ჩარჩობა, რადგანაც მცხოვრებთ არა აქვთ შეძლება თითონვე გაასაღონ წლის მოსავალი ნაწვავ-ნადაგი. მათ ნაწარმოებს ჩარჩები იძენენ ჩალის ფასად.

აქეთ ზამთარი ადრე დაიწყო. თოვლმა დაიტანა მთელი სოფლის სიმინდები. ზოგს მოსახნავი დარჩა, ზოგსაც დასათვარცხ-დასათესი და ვართ ასე ნაღვლიანად გულ-ხელ დაკრეფილნი. შენი მტერი ჩვენ საქმე გაგვიჭირდება გაზაფხულზედ.

შ. ჯავახიშვილი

## რუსეთი

ერთი მღვდელი შეჰკითხებია უმაღლესს სასულიერო მთავრობას, უსინათლოთა ქორწინება აღკრძალული ხომ არ არისო. მთავრობას განუმარტავს, რომ უსინათლოებს ქორწინება არც საეკკლესიო და არც სამოქალაქო კანონებით არა აქვთ აღკრძალულიო.

— ხარკოვიდგან პეტერბურგში არყის მხდელ ქარხნის პატრონთაგან განსაკუთრებული დეპუტაცია წასულა. დეპუტაციას აზრადა აქვს იშუამდგომლოს ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ფასი მოემატოს იმ სპირტს, რომელსაც ხაზინა იძენს მაგარ სასმელების მონოპოლიისათვის.

— საერო განათლების სამინისტრომ ჯერ ისევ შარშან განმარტა, რომ ის მასწავლებელნი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ვაკაციებით, ვალდებულნი არ არიან ამის ნებართვა აიღონ. საჭიროა მხოლოდ შეატყობინონ ხოლმე მთავრობას, რომ წასვლას აპირობენ და აღნიშნონ ვის აბარებენ სასკოლო ქონებას. ასეთ ქაღალდს საგერბო მარკა არ უნდა დაეკრას. ამ ჟამად ასეთი წესი საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის იქმნა შემოღებული.

— იმ კომისიამ, რომელსაც ალკოგოლიზმის საქმის გამოკვლევა აქვს მინდობილი, შეიმუშავა სტატისტიკურ ცნობების შესაკრებად კითხვათა პროგრამა საშუალო სასწავლებლებში მაგარ სასმელების ხმარების შესახებ. ამ პროგრამებს კომისია უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეებს ურიგებს პასუხების ჩასაწერად.

— სენატმა განმარტა, რომ ქალაქის თვით-მართველობას არ შეუძლიან აუკრძალოს კერძო კაცს თავისს საკუთარ მამულზედ შენობის აგება იმ დრომდე, ვიდრე თვით-მმართველობა პატრონის ნება-ყოფლობით არ შეიძენს ადგილს.

— რადგანაც რუსეთში ძალიან ცოტა სამთო-სამრეწველო სასწავლებელია, ხოლო ამგვარ სასწავლებლის საჭიროება დიდია, დომბროვის ოლქის მთა-მადნის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ თავიანთის ხარჯით დასახელებულ ოლქში დააარსონ ორი საშუალო და ოთხი დაბალი სამთო-სამრეწველო სასწავლებელი.

— როგორც გამოანგარიშებულია, დედათა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობის აგებას მოსკოვის მახლობლად ბოგოროდსკის ფერმაში დასჭირდება სულ 250,000 მანეთი.

— 1901 წლის იანვარს მოსკოვში „დედათა შორის სასოფლო-სამეურნეო სწავლა ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“ გაჰმართავს ქალთათვის სამეურნეო კურსებს. ამავე დროს პეტერბურგში დაარსდება ქალთათვის განსაკუთრებული კურსები ბაღოსნობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობისა. ამ კურსებზედ იანვარსა, თებერვალსა, მარტსა და აპრილს ლექციებს წაიკითხავენ, ხოლო ზაფხულში, პრაქტიკულ საქმეს მიჰყოფენ ხელს.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ადრესის შესახებ გამათის დროს ყველას ყურადღება ჩემბერლენის სიტყვამ მიიპყრო, რომელიც მან ემმოტის განცხადების შესახებ წარმოსთქვა. მოგვყავს განცხადება ემმოტის და ამასთანავე სიტყვა ჩემბერლენისა. ემმოტმა განაცხადა:

„გვსურს პატივისცემით ვაუწყოთ თქვენს უდიდებულესობას, რომ დამორჩილებულ ადგილების დასამშვიდებლად და სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებ ერთა შორის კეთილ დამოკიდებულებათა და განწყობილების დასამყარებლად დროა განაცხადოს მთავრობამ, რა საშუალებანი უნდა მიიღოს, რომ უზრუნველ-ჰყოს თავისუფლება და ქონება მათი, რომელნიც ჯერ ისევ იარაღით ხელში იბრძვიან, რა რიგ უპირებს მთავრობა ამ ერს ინგლისთან შერიგებასა. დასასრულ აღნიშნა ემმოტმა, რომ სამხრეთ აფრიკაში ომის დროს ინგლისის გენერლებმა მეტად სასტიკი ღონისძიებანი იხმარეს. უწვავდნენ ფერმებს, სტაცებდნენ საქონელს და დედაკაცებსა და ბავშვებს თავისს კერას აშორებდნენ და უსახლ-კაროდა სტოვებდნენ, რასაც მეტად სამწუხარო პოლიტიკური და ეკონომიური შედეგი მოჰყვებაო“.

ჩემბერლენმა ემმოტს შემდეგი პასუხი მისცა:

„განცხადების ავტორთა მოსაზრებას მთავრობა სრულიად ეთანხმებაო, —სთქვა ჩემბერლენმა,—და მზაა მიიღოს ყველა ის წინადადებანი, რომლებიც მათ აქვთ დასახელებულიო. სულ სამი მიზანი გვითა, რომელთაც ჩვენ უნდა ვმსახურებდეთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვსპოთ ეს პარტიზანური ომი, რომელიც სრულიად უნაყოფოდ და უპრალოდ იწვევს ამოდენა სისხლის დვრას. რაც შეეხება საშუალებათ, რომლებიც ამ აზრით ჩვენ უკვე მივიღეთ, ეჭვი არ არის, ამ მუხლის შესახებ რაიმე უთანხმოებაა. რაც შეეხება საქონლის წართმევას, ამის შესახებ მცირე განმარტებაა საჭირო: წართმეულს საქონელში მხედრობის უფროსნი ან ფულს იხდიან, ან-და ბარათებს აძლევენ. სიტყვა „დედაკაცების გადასახლება“, რასაკვირველია, ყველას ძლიერ ეხამუშება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ უმეტეს შემთხვევაში, დედაკაცებსაცა და ბავშვებსაც მათისავე სარგებლობისათვის ასახლებდნენ ქალაქებში, რომ ამით ადგილობრივ მცხოვრებთა და მძარცველ და უჩადთა მეურაცხყოფისაგან დაეფარათ. რაც შეეხება დედაკაცებსა და ქალებზედ ძალადობასა, ყველა ესენი, თუ რომ მართლა დამტკიცებულნი იყვნენ, ჩადენილი იყო ადგილობრივ მცხოვრებთაგან და არა ინგლისელ ჯარის-კაცთა მიერ. გარდა ამისა, ინგლისელს გენერლებს ბრალსა სდებენ, რომ ბურებს ფერმებს უწვავდნენო, მაგრამ რიცხვი გადამწვარ ფერმებისა არც ისე დიდია, როგორც ოპოზიციასა ჰგონია. ლორდის რობერტსის ჰუმმანიური ხასიათი თავდებია იმისი, რომ თვით ბურებს უფრო მეტი ექმნებათ გადამწვარი, ვიდრე ინგლისელებსა. მეორე მხრივ, ფერმების განადგურებასა და დაწვას არც ისეთი დიდი ზარალის მიტანა შეუძლიან, როგორც ფიქრობენ, რადგანაც მათი ნამდვილი ფასი სათქმელი არც კია. რობერტსის პროკლამაცია მხოლოდ ორს შემთხვევაში აძლევდა ოფიცრებს იმის უფლებას, რომ ფერმები დაეწვათ: როდესაც ფერმის პატრონი პირდაპირ დალატში იქნებოდა შენიშნული და, მეორე, როდესაც ფერმის პატრონი კანონსა და საომარს წესსა და ჩვეულებას დაარღვევდა. ამაში-კი მთავრობა რობერტსს სრულიად ეთანხმება. როდესაც ბურები რკინის გზის ლიანდაგს ჰშლიდნენ და აქცევდნენ, ამ შემთხვევაშიაც მახლობლად მცხოვრებ ბურების ფერმებს ცეცხლს უკიდებდნენ და სწვავდნენ, მაგრამ, როგორცა ვგონებ, ამ სასტიკს საშუალებას მხოლოდ იმ ბურების შესახებ ხმარობდნენ, რომლებიც გზის დაქცევაში პირდაპირს მონაწილეობას იღებდნენ და არა განურჩევლად ყველასას. მთავრობასა და გენერლებიც იმ აზრისანი არიან, რომ ასეთს სასტიკს სასჯელს მხოლოდ განსაკუთრებულსა და იშვიათს შემთხვევაში უნდა მიჰმართონ ხოლმე. განზრახვა ჰქონდათ, რომ გადამწვარ ფერმების ფასი აეზღოთ ბურებისათვის, მაგრამ მთავრობამ უარ ჰყო, რადგანაც თითონ ინგლისის ქვეშევრდომთაც-კი არ უზღო ზარალი. მთავრობის მეორე მიზანს ის შეადგენს, რომ სამხრეთ აფრიკაში ახალი წეს-რიგი შემოიღოს. ამ მხრივ დამორჩილებულმა რესპუბლიკებმა სამი ხანა უნდა განვლონ: პირველი იქმნება დამშვიდება, მერე—რესპუბლიკების სახელმწიფოს ახალშენად გადაკეთება, მესამე ფართოდა ვრცელი თვით-მმართველობა. იმედი მაქვს, როდესაც თებერვალში პარლამენტის კრება იქმნება, ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკაში რაიმე სამოქალაქო მმართველობა უკვე იქმნება შემუშავებული და დადგენილი. მთავრობას განზრახვა აქვს ალფრედ მილნერი ორივე რესპუბლიკის გუბერნატორად დანიშნოს და ორანჟეს რესპუბლიკისათვის ამხანაგად ვიცე-გუბერნატორი დაუნიშნოს. ამასთანავე დანიშნულ იქმნება აღმასრულებელი საბჭო, რომელშიაც მთავრობის წარჩინებულნი მოხელენი მიიღებენ მონაწილეობას. დავძენ ამასთანავე, რომ ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს განზრახვა ტრანსვაალს და ორანჟეს რესპუბლიკას ერთნაირი მმართვა გამგეობა მივანიჭოთ. თითოეულს ამათგანში შესაფერი მართვა გამგეობა იქმნება შეტანილი და შესაძლებელია ნამდვილი მოქალაქობრივი მართველობა უფრო ადრე ორანჟეს რესპუბლიკას მიენიჭოს, ვიდრე ტრანსვაალს. ამათგან ერთს მუხლს მთავრობა შედარებით მეტს ყურადღებას აქცევს, სახელდობრ, რომ ქალაქის თვით-მმართველობა იქმნას შეტანილი პრეტორიასა, იოჰანესბურგსა, ბლუმფონტენსა და ზოგიერთა სხვა დიდს ქალაქში. ქალაქის თვით-მმართველობათ, რომლებიც მათ მიენიჭებათ, ყველა უფლებანი მიეცემათ, სადაც-კი ეს შესაძლებელი იქმნება. ჩვენ ისევ ძველს წესებს დავტოვებთ და ადგილობრივ მმართველებად ისევ აფრიკანდერებს დავნიშნავთ და არა ინგლისელებს, როგორც ზოგიერთს ჰგონია. ჩვენდა ვალდებულებად ვთვლით მთელს სამხრეთ აფრიკაში ერთი და იგივე კანონები, ერთი და იგივე თავისუფლება შევიტანოთ, მაგრამ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის იმედი-კი ნურავისა აქვს. ყოველივე, რაც-კი ამ ჟამად გაცნობებთ, მალე რამდენსამე ენაზედ დაიბეჭდება პროკლამაციებად და სამხრეთ აფრიკაში გაიგზავნება გასავრცელებლად (ხმამაღლივ იწონებენ ჩემბერლენის სიტყვას). ჩემბერლენის სიტყვამ ყველაზედ დიდი გავლენა იქონია; გაიმარჯვა. ოპოზიციის წინამძღოლმა კემპმელ ბანნერმანმა პირდაპირ განაცხადა, რომ ახალშენთა მინისტრის განმარტებით სრულიად კმაყოფილია და რომ თვისი და მატება ადრესის შესახებ უკან მიაქვს. ლიბერალთა გაზეთები და მათთან ერთად „Daily News“-იც აცხადებენ, რომ დღევანდელს პირობებში ამაზედ უკეთესს ვეღარას დაასახელებენ, რაც თითონ მთავრობას განუზრახავს.

**საფრანგეთი.** გენერალს მერსიეს უთქვამს „Daily Mail“-ის კორრესპონდენტისათვის, რომ მხოლოდ ისტორიულის და თეორეტიულის მოსაზრებით შეეხო იგი ინგლისთან ომს, თუ-კი იგი ოდესმე მოხდება. ღმერთმაკი დაიფაროს, მაგრამ თუ ოდესმე ინგლისსა და საფრანგეთს ომი მოუხდებათ, საყურადღებოა ვიცოდეთ, რამდენად ადვილად შესძლებს საფრანგეთი, რომ თავისი ჯარი ინგლისში გადაიყვანოსო. მე მხოლოდ ეს მოსალოდნელი შემთხვევა მქონდა სახეში და სხვა არაფერიო.

დასასრულ უთქვამს მერსიეს, რომ მისის აზრით, ინგლის საფრანგეთის ომი შეუძლებელია, რადგანაც თითონ საფრანგეთი ომს არასოდეს არ გამოუცხადებს ინგლისს, თუ ინგლისმა არ აიძულა; მაგრამ თუ-კი მოხდება ომი, ეს-კი მაშინ ენით აუწერელ უბედურებად უნდა ჩაითვალოსო.

ეს ყველა კარგი, მაგრამ ასეთს თავის მართლებას ახლა ვინ-და მიიღებს? მიზეზიც ეს არის, რომ უკმაყოფილება მერსიეს სიტყვის გამო საფრანგეთში ამ ჟამად ფრიად დიდია და გაზეთები ამ დღით მხოლოდ ამაზედ-და სწერენ. „Siecle“ აცხადებს, რომ მერსიეს სიტყვა ბევრს რესპუბლიკელს ბურების მიმართ თანაგრძნობის საქმეში გულს აცრუებს, რადგანაც კარგად იციან კრიუგერის საქმიდგან ნაციონალისტებს რის შექმნა შეუძლიანთო.

„Aurore“ მერსიეს ჩემბერლენის აგენტს ეძახის და ამის საბუთად იმ გარემოებას ასახელებს, რომ მერსიეს ცოლად ინგლისელი ქალი ჰყავს და ინგლისში მამულიცა აქვს.

მეორე მხრივ მერსიეს იმისთვისაც ამტყუნებენ, რომ ინგლისს თვალები გაუხილა და დაანახვა, რომ საჭიროების დროს საფრანგეთს თავისს ჯარის გადარეკვა შეუძლიან და სხ.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ჰოლანდიის ახალგაზრდა დედოფალი ვილჰელმინა ამ ჟამად გულ-მოდგინედა სწავლობს თურმე ენებს. ვილჰელმინა ჰოლანდიურის გარდა მშვენივრად ლაპარაკობს ინგლისურსა, ფრანგულსა და ნემეცურს ენებზედ, ეხლა დედოფალი ჰოლანდიის ახალშენთა ორ უმთავრესს ენასა სწავლობს —მალაიურსა და იავაიურს. ამ უკანასკნელს ენაზედ ჰოლანდიის ახალშენებში 18 მილიონ კაცამდე ლაპარაკობს. დედოფალს სავალდებულოდ მიაჩნია იცოდეს ის ენა, რომელზედაც ამდენი მისი ქვეშევრდომი ლაპარაკობს. როგორც ვუწყით, ამ ცოტა ხანში დედოფალს ქორწილი ექმნება. დანიშვნის დროს აუარებელი საჩუქრები მიუღია ვილჰელმინას. სხვათა შორის, პრეზიდენტს კრიუგერს მშვენიერი ოქროს სათითე მიურთმევია.

* * *

აზრადა აქვთ ლონდონში ერთის უბრალო ძაღლის პატივსაცემლად დიდი დღესასწაული გამართონ. ამ ძაღლს ინგლისელები გმირადა სთვლიან. თავი ძაღლმა მეფკინგში ისახელა, როდესაც ამ ქალაქს ბურებმა ალყა შემოარტყეს. ძაღლი არ ერიდებოდა არც ტყვიებს, არც ყუმბარებს, შუა სროლის დროს მინდორში გარბოდა და შიშისაგან გზა-კვალ დაბნეულ ცხვრებს ქალაქში მიერეკებოდა. რათა ტყვიას არაფერი დაეკლო, ჯარის-კაცებს ამ ძაღლისთვის ტანზედ რკინის ჯავშანი შემოურტყავთ. დიდის ამბით დაჰხვდნენ ძაღლს ლონდონში. ხალხი ქუჩაში ტაშის ცემითა და „ვაშას“ ძახილით ეგებებოდა. ლონდონში ჩასვლისას ეს მეფკინგის გმირი ავად გამხდარა, მაგრამ ბეითლებს მალე მოურჩენიათ.

* * *

ამ ბოლოს დროს საფრანგეთში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ საჰარის შესახებ. როგორც ვუწყით, უდაბურსა და ქვიშიანს საჰარაზედ თავით-ბოლომდე ჯერ არავის გაუვლია. ჰფიქრობენ იქ რკინის გზის გამართვას, მაგრამ ვიდრე ამას განახორციელებდნენ, განუზრახავთ ჰაეროსტატით გაიარონ ეს უზარმაზარი ადგილი. ამის შესახებ ერთ სპეციალურ ჟურნალში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი. ავტორი ამტკიცებს, რომ ჰაეროსტატის შემწეობით

საქარაზედ გადაფრენა არც ისე ძნელია, როგორცა ჰგონიათ. გაბესიდგან (ტუნისის ნაპირზეა) გადამესამდე (საქარაშია) სულ 450 კილომეტრია; ხოლო აქედგან ნიგერის მოსახვევამდე, ე. ი. საქარის მეორე მხარემდე,—1850 კილომეტრი. აი ეს მანძილი უნდა გაიაროს ჰაეროსტატმა. ამოტელა მანძილი კი აქამდისაც გაუვლიათ. ამას წინად, მაგალითად, ბ-ნნი დე ლა-ვო და კასტილიონ დე სენ-ვიქტორი ჰაეროსტატით პარიჟიდგან კიევამდე მოსულან 36 საათის განმავლობაში, ე. ი. გაუვლიათ 2,100 კილომეტრი. ავტორის აზრით, საქარაზედ გადაფრენას ჰაეროსტატი ხუთი დღე-ღამე და 7 საათი მოუნდებოდა. კარგს მოწყობილს ჰაეროსტატს ჰაერში 9 დღე-ღამე შეუძლიან დარჩენა.

* * *

აქამდე მოგზაურნი უმთავრეს ყურადღებას ჩრდილოეთ პოლიუსს აქცევდნენ, მაგრამ ამ ბოლოს დროს სწავლულნი და მეცნიერნი სამხრეთ პოლიუსისა და იმის ახლო-მახლო მდებარე ადგილების გამოკვლევასაც შეუდგნენ. იქ გასაგზავნად ორ ექსპედიციას ამზადებენ, ერთს გერმანელნი, მეორეს—ინგლისელნი. ეხლა მესამე ექსპედიციაც მზადდება შვეციაში ო. ნორდენშილდის მიერ. ექსპედიციისათვის ნორდენშილდს ერთი გემი შეუძენია. ამ გემით შარშან პროფ. ნატხორსტი ანდრეს დაეძებდა გრენლანდიის ნაპირებზედ. ნორდენშილდის ანგარიშით, ამ ექსპედიციას მოუნდება სულ 100,000 მანეთი. ნახევარი უკვე მოუკრებიათ ხელისმოწერით. ამას გარდა, შვეციის მეფე ოსკარიც დაჰპირებია შემწეობას. იმედი აქვთ, რომ აგვისტოსთვის ექსპედიცია მზად იქმნება.

* * *

ქალაქ მუკდენის აღების დროს (როგორც ვუწყით, ეს ქალაქი მანჯურიაშია) რუსებს დიდძალი ძველი ქაღალდები და ხელთნაწერები უნახავთ იქ. ეს ქაღალდები სულ ერთიან პეტერბურგში გაუგზავნიათ, სადაც სპეციალისტნი კვლევა-ძიებას უკვე შესდგომიან.

* * *

ერთ ნორვეგიელს ახალი თოფი გამოუგონია, რომელიც ბევრად სჯობია თურმე დღემდის გამოგონილს თოფებს. როგორც მოწყობილებით, აგრეთვე სხვა-ფრივაც (თოფი საოცრად ძლიერ და შორს ისვრის ერთის ტყვიასა) ამ თოფს ვერაფერი შეედრება. ნემეცურ გაზეთების სიტყვით, ეს თოფი ამას წინად გამოუცდიათ გერმანიაში. იმპერატორის ბრძანებით, უკვე შესდგომიან ერთის დივიზიის შეიარაღებას ამ თოფით. გამოგონების პატენტი შეუძენია კაპიტალისტთა ამხანაგობას როტშილდის მეთაურობით.

* * *

ამას წინად პომპეიში სამაგალითო ქანდაკება უპოვნიათ ძველს ნანგრევებში, მიწის ქვეშ. ეს ქანდაკება იშვიათის სილამაზისაა თურმე. ქანდაკება ტიტველს მამაკაცს წარმოადგენს. მხოლოდ ერთი ხელი აქვს ქანდაკებას მოტეხილი. პროფესორის ორსის სიტყვით, ეს ქანდაკება გაკეთებულია მე ხუთე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. ქანდაკებას 200,000 მანეთად აფასებენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 დეკემბერი

**ლონდონი.** კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან 1 დეკემბერს, რომ გენერალმა ნოქსმა დევეტი ჩრდილოეთისაკენ გაიგდო ტაბანჩუსა და ლედი-ბრანდის მხარეს, ესე იგი იქ ით, სადაც ინგლისის ჯარები სდგას. დევეტის ჯარი, რომელიც დაახლოვებით 3000 კაცისაგან შესდგება და, მთელს დღეს რამდენჯერმე ეცადა ინგლისის ჯარის გარღვევას ბურების მეორე რაზმის დახმარებით, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა, თუმცა რამდენმამე ბურმა მტრის წრე გაარღვია და სამხრეთისაკენ წავიდა. შემდეგს დეპეშაში კიტჩენერი იტყობინება, რომ, როდესაც ტაბანჩუს ახლოს დევეტს მტრის ჯარი გაურღვევია, დიდი ზარალი მოსვლია. ინგლისელებმა წაართვეს მას 15 გირვანქიანი ზარბაზანი, რომელიც ბურებმა დევეტსდორპთან იგდეს ხელში; გარდა ამისა ინგლისელებმა წაართვეს ბურებს რამდენიმე ფურგუნი სამხედრო სურსათი და ტყვედ წაიყვანეს 22 კაცი. ბურების ჯარის ერთმა ნაწილმა ჩრდილოეთისაკენ წასვლა ვერ მოახერხა.

**ტიანძინი.** ჩინეთის უტყუარ წყაროებიდგან იტყობინებიან, რომ იმპერატორმა უცხოელ სახელმწიფოთა შემდეგს ათს პირობაზედ თანხმობა განაცხადა: 1) 700 მილიონ ტაელამდე საზღაურის გარდახდა 60 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად, რის თავდებადაც ლილინი იქმნება; 2) შესაფერი ძეგლის აგება კეტელერისათვის პეკინში; 3) იმპერატორის ახლო ნათესავი გაიგზავნება ბერლინში; 4) გზას ტაკუსა და პეკინს შუა უცხოელი ჯარები დაიცავენ; 5) დასჯა „დიდი მუშტის“ მომხრე მოხელეებისა; 6) კანდიდატებს იმ ადგილებიდგან, სადაც უცხოელთ სდევნიდნენ, რაიმე თანამდებობაზედ სახემწიფო ეგზამენის დაჭერის ნება 5 წლის განმავლობაში სრულიად არ მიეცეთ; 7) გაუქმდეს ცუნგლიამენი; 8) ელჩებს ნება ჰქონდეთ თავისუფლად ინახულონ ხოლმე იმპერატორი; 9) აღიკრძალოს შემოტანა იარაღისა და სამხედრო მასალისა; 10) შანჰაი-გუანსა, ტაკუსა და პეკინს შუა დანგრეულ იქმნეს სიმაგრეები.

**პეკინი.** მოლაპარაკება ჩინელ რწმუნებულებთან ჯერ არ დაუწყიათ. ბრიტანიის ელჩს თავისს მთავრობისაგან ინსტრუქციები ჯერ არ მიუღია. იმედი აქვთ, რომ ყველა გარდასაწყვეტი საქმეები რამდენსამე დღეში დასრულდება.

**ლონდონი.** კიტჩინერი იტყობინება პრეტორიიდგან 1 დეკემბერს, რომ გენერალმა კლემენტსმა თავისი ჯარი კომანდონეკში მშვიდობით მოიყვანაო. ზარალი დიდი მოუვიდა: 5 ოფიცერი და 9 ჯარის-კაცი მოუკლეს; 10 ოფიცერი და 555 ჯარის კაცი ვეღარ იპოვეს, მათ შორის 4 როტა ნორტუმბერლანდელი ფუზილერიაო.

**პეკინი.** პეკინსა და იანცზუნს შუა სამუშაო მატარებლები უკვე მოძრაობენ; როგორც ისმის, 2 დეკემბრიდგან განსაზღვრული წესიერი მიმოსვლა დაიწყება.

**ლონდონი.** დღეს წაკითხულ სეფე-სიტყვაში, რომლითაც პარლამენტის სხდომები გადაიდვა, დედოფალი მადლობას უცხადებს დეპუტატებს მხოლოდ იმისათვის, რომ სამხრეთ-აფრიკაში და ჩინეთში ომისათვის საჭირო ხარჯი დაამტკიცეს.

3 დეკემბერი

**პეტერბურგი.** „მართებლობის უწყებაში“ დაბეჭდილია: „ამ ბოლო დროს ევროპისა, და უფრო-კი ინგლისის, ჟურნალ-გაზეთებში მრავალი წერილი დაიბეჭდა იმის შესახებ, თუ პეჩილის პროვინციაში იანცზუნისა და შანხაიგუანის რკინის გზის საქმეში ჩვენი ჯარი როგორ მოქმედებდა. საზოგადოდ ამ საგნის შესახებ ინგლისის ჟურნალ გაზეთების მიერ გამოთქმული აზრი შეიძლება ასე გამოიხატოს: 1) იანცზუნ-შანხაიგუანის გზა ინგლისის საკუთრებაა; 2) რუსებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ, მაგრამ დაიჭირეს იგი, ამისათვის რუსები მოვალენი არიან აღნიშნული გზა დაუყოვნებლივ ინგლისელებს გადასცენ, როგორც მესაკუთრეებს; 3) რაც ხანი გზა რუსების ხელშია, არსად რა შეუკეთებიათ და თითქმის არავითარი ხარჯი არ მოჰსვლიათ; 4) რკინის გზის ინგლისისათვის უკან დაბრუნება გრაფის ვალდერზეეს უფლებას არ შეადგენს“. შემდეგ „მართებლობის უწყებას“ მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ინგლისის ჟურნალ-გაზეთების აზრს არღვევენ და დასძენს: 1) იანცზუნ-შანხაიგუანის რკინის გზის მესაკუთრეებად ინგლისელები არ ჩაითვლებიან, მაგრამ ფინანსების მხრივ სხვა სახელმწიფოებზედ მეტი უფლება ინგლისსა აქვს, რომ აღნიშნულის გზის საფინანსო კანტროლი მისს ხელთ იყოს, როდესაც მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარები პეჩილიის პროვინციიდგან გავლენ; 2) პირვანდელი ნაწილი ტონგკუ-ტიანძინი რუსეთის ჯარმა მოკავშირე ჯარების უფროს ადმირალების თანხმობითა სამხედრო საჭიროებისა გამო დაიჭირა; 3) გაცხარებულის ომისა და გაჭირვების დროს რუსეთის ჯარმა ტიანძინსა და იანცზუნს შუა რკინის გზის ლიანდაგი აღადგინა და მხოლოდ რუსეთის ჯარის მხნედ მოქმედებამ იხსნა ტანგკუ-შანხაიგუანის ლიანდაგი მთლად დაქცევისაგან; 4) ინგლისის გაზეთების აზრი იმის შესახებ, რომ გრაფს ვალდერზეეს უფლება არა აქვს რკინის გზა ინგლისელებს გადასცესო, ესეც სრულიად შემცდარია. აღნიშნული გზა გრაფმა ვალდერზეემ ჩვენ ჩაგვაბარა; ამისათვის გადავცემთ მას არა ინგლისელებს, არამედ გრაფ ვალდერზეეს, რომელზედაც იქმნება დამოკიდებული რუსებს შემდეგ ვის გადასცემს ამ გზასა.

**პეკინი.** ტოკიოში მყოფი ჩინეთის ელჩი პეკინის გუბერნატორად იქმნა დანიშნული.

**ბერლინი.** მთავარ-სარდალი იუწყება პეკინიდგან, რომ რორშეიდის ჯარმა ჩანში საკმაოდ დიდძალი იარაღი და სამხედრო სურსათი აღმოაჩინაო და, სხვათა შორის, რამდენიმე 15 გირვანქიანი ზარბაზანიც, რომლებიც ჯერ ისევ ყუთებში ეწყო გაუხსნელიო. ნაპოვნი იარაღი და სურსათი ზოგი დასწვეს, ზოგი თან წაიღესო.

**პეკინი.** გუშინ გამოქვეყნდა იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც ლიხუნგჩანგისა და ცინის რწმუნებანი და მინდობილებანია მოხსენებული. რუსებმა 12,000 საცალო ბრინჯი იყიდეს, რომ გაჭირვებულს ჩინელებს ზოგს უფასოდა და ზოგსაც ძალიან იაფად დაურიგონ.

4 დეკემბერი.

**პეტერბურგი**, 3 დეკემბერი. ლივადიიდგან მიღებულ სამხიარულო ცნობებისა გამო ხელმწიფე იმპერატორის ჯანმრთელობის შესახებ სატახტო ქალაქის ყველა ეკკლესიებში სამადლობელი პარაკლისი იქმნა გარდახდილი. ასეთივე სამადლობელი პარაკლისები გარდაუხდიათ ვილნოსა, კოვნოსა, ვიატკასა, ტამბოვსა და კოსტრომაში.

**ლონდონი.** კიტჩინერის დეპეშა პრეტორიიდგან: „კლემენტსი იუწყება, რომ ნორტუმბერლანდის 4 როტას იქამდის უმაგრნია სიმაღლეებზედ, სანამ საომარი სურსათი ეყოფოდაო. მაღლობებზედ იერიშის მიმტან ბურთა რაცხვი 2,000 ყოფილა, ხოლო ინგლისელთა ბანაკზედ იერიშის მიმტანთა რიცხვი 1,000. კლემენტსმა მწყობრად დაიხია და ბარგის ურმების მომეტებული ნაწილი წაიღო; სამხედრო იარაღიდგანა და სურსათიდგან, რაც არ წაიღებოდა, დასწვეს. ინგლისელებს თავი კარგად ეჭირათ. ბურების პარლამენტერი იუწყება, რომ ჟუბერის შვილი მოჰკლესო. ბურებს დიდი ზარალი მოუვიდათ“.

**ლონდონი.** კიტჩენერი დეპეშით იუწყება, რომ ფრეიგეიდზედ იერიშის მიტანის დროს ბურებმა მოკლულითა და დაჭრილით ერთად 100 კაცი დაჰკარგეს, ხოლო ინგლისელებმა—6 მოკლული და 19 მძიმედ დაჭრილი; 30 უკვალოდ დაეკარგათ სადღაც, რომელთა შორისაც ერთი ოფიცერიაო. 30 ნოემბერს შპერონეკთან ინგლისელებმა 600 ჯარის-კაცი დაამარცხეს და ზარბანიც წაართვესო, ბურებს დიდი ზარალი მოჰსვლიათ. ლასტრონის ოლქის ვიწროებში ამ წინაზედ ბურებს 120 ცხენოსანი ინგლისელი წაუყვანიათ ტყვედ. ტყვედ წაყვანილთა შორის 315 კაცი ნორტუმბერლანდელი ფუზილერია; ამათგან 5 ოფიცერი გაუნთავისუფლებიათ, რომლებიც რუსტენბურგში უკვე მოვიდნენ.

**ლონდონი.** მეტუენის დეპეშით ბურების გენერლის ლემმერის სიკვდილი მტკიცდება. დეპეშაში შემდეგ ნათქვამია: „1 ლა დეკემბერს მეტუენმა ბურების სიმაგრეზედ იერიში მიიტანა და ბანაკი დაიჭირა მცირედის საქონლითა და სამხედრო სურსათითაო“.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდგან მიღებული დეპეშა იუწყება, რომ პეკინიდგან 18 მილის მანძილზედ პოლკოვნიკის ტულლოს უფროსობით ინგლისელთა რაზმს სოფელი დაუჭერია; „დიდს მუშტს“ ამ შეტაკებაში დიდი ზარალი მოჰსვლია.

პაოტინფუდგან იუწყებიან, რომ 10,000 ჩინეთის ჯარის-კაცი საიმპერატორო ქალაქისაკენ მოიმართებაო. ფრანგები იუწყებიან, რომ პეკინიდგან დასავლეთით ფრანგების გარნიზონს აღნიშნულის გარნიზონის უკანა ჯარზედ იერიში მიუტანია, მაგრამ ამისა გამო ლიხუნგჩანგს თხოვნა წარუდგენია, რომ ჩინეთის ჯარების მოძრაობა მოსპობილ იქმნას, რადგანაც მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. რკინის გზის მოძრაობის დაწყება, რომელიც დღეისათვის იყო დანიშნული, გადადებულ იქმნა.

**ლონდონი.** ინგლისელთა რაზმმა პოლკოვნიკის ტულლოს უფროსობით „დიდს მუშტს“ კაოლინში გამაგრებულს მიატანა. ტულლოს ჯარი მიეშველა; ტულლომ ეს ადგილი აიღო და „დიდს მუშტს“ 40 კაცი მოუკლა. მთელი ეს მხარე სრულიად აღელვებული და არეულ დარეულია; საჭიროა ექსპედიციები ხშირად იგზავნებოდეს. ვალდერზეეს ყველა ერისათვის ცალკე სამოქმედო ასპარეზი უნდა მიეჩემებინა; ამ საშუალებას უთუოდ ყველა მოიწონებდაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ვინც სოფლის სკოლაში მასწავლებლად არა ყოფილა, ვისაც სოფლის სკოლა დაახლოვებით არ გაუცვნია, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებას იტანენ როგორც სოფლის მასწავლებლები, ისე მათი მოწაფეები. სოფლის სკოლების გაჭირვება მრავალგვარია; მე-კი მხოლოდ ერთი მათგანი უნდა დავასახელო. ეს გახლავთ სოფლის სკოლაში სასწავლო ნივთების უქონლობა. ყოველივე სასწავლო ნივთი სოფლის მოსწავლემ სოფლის დუქანში უნდა იყიდოს, სადაც ჩარჩ-ბაცაცები სრულიად უვარგისს ნივთებს მამასისხლად ასაღებენ. უფრო ხშირად-კი არც ასეთები მოიპოვება სოფლის დუქანში და მოსწავლემ ან 15—20 ვერსით მოშორებულ დაბა ქალაქს უნდა მიჰმართოს, ან-და უწიგნოდა და ურვეულოდ უნდა იჯდეს სკოლაში. ასეთი გაჭირვება ბევრი გამოვცადე ჩემის მოწაფეებითურთ აკეთის სკოლაში და ამიტომ განვიზრახე ჩემის სკოლისათვის მცირე თანხა გამეჩინა, რომლითაც შესაძლებელი მეიქნებოდა სკოლას სასწავლო ნივთები თავისს მოწაფეებისათვის თითონ ჰქონოდა. ამისათვის ბ-ნის წერეთლის წიგნის მაღაზიიდგან 60—70 მანეთის სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთები წავიღე. ეს ნივთები მივყიდე მოწაფეებს რაც შეიძლებოდა დაკლებულ ფასებში, მხოლოდ განზრახულ თანხის შესადგენად ცოტა მოგებაც დავანარჩუნე. როდესაც ეს ნივთები გავყიდე, მოგებიდგან მცირე თანხა შესდგა და ისევ სასწავლო ნივთები მოვიტანე. ამგვარად შევადგინე 14 მან. და 50 კ. როდესაც იძულებული გავხდი აკეთის სკოლისათვის თავი დამენებებინა, სკოლაში 14 მ. და 40 კ. სასწავლო ნივთები დავუტოვე მღ. ლ. წულაძესა და ვსთხოვე ახალის ზედამხედველისათვის გარდაეცა და ჩემი განზრახვაც ეცნობებინა. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, ამ ნივთებს პატივცემული მღ. ლ. წულაძე ახალს ზედამხედველს გარდასცემდა, რომელსაც ვსთხოვ ან კერძო წერილით, ან გაზეთის საშუალებით მაცნობოს, თუ როგორ გაადიდა ეს თანხა. იმავე აკეთის სკოლაში მე და ჩემმა მოწაფეებმა დავაარსეთ ეგრედ წოდებული ბიბლიოთეკა—„კაპეიკი“, რომელშიაც 24 წიგნაკი იყო და რამოდენიმე მანეთიც ჰქონდა. სასურველია ვიცოდეთ ამ უკანასკნელის ბედიღბალიც.

მასწავლებელი ა. გეგეჭკორი

ს. ავჭალა

1900 წ. 29 ნოემბერი.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან

## ქ ა რ თ უ ლ ი
## კედლის კალენდარი

1901 წლისა, შედგენილი გრ. ჩარკვიანის-მიერ, ფასი 40 კაპ.

გარეშე პირთ შეუძლიანთ გამოიწერონ წერა-კითხვის მაღაზიიდგან: Тифлисъ; книжный магазинъ Общества распространенія грамотности. (5—6.—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Декабря 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე